

საქართველოს მენეჯერებათა ასოციაციის  
კიბერნეტიკის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ანა ფურცელაძე

სინათლის დეკლარაცია არასტაციონარულ  
ანიზოტროპულ გარემოში და აკოსტიკური ცდა  
პოლარიზაციულ კოლობრაფიაში

(01.04.03 – რადიოფიზიკა)

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი შ. ყაყიჩაშვილი,

ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი  
ვ. ტარასაშვილი.

შესავალი - - - - -	3
თავი I. ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივება – მისი მიღების ხერხები და ანალიზი	
<b>§1.1.</b> პოლარიზებული სინათლის აღწერის ელემენტები - - - - -	14
1.1.1. ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდის მოდიფიკაცია - -	18
<b>§1.2.</b> პოლარიზებული სინათლის გავრცელება არასტაციონარულ ანიზოტროპულ ოპტიკურ სისტემაში	
1.2.1. ოპტიკური სისტემა რეალური ორმაგი სხივტებით - - - - -	22
1.2.2. არასტაციონარული სისტემა კომპლექსური ორმაგი სხივტებით - - - - -	29
თავი II. არასტაციონარული ანიზოტროპული ოპტიკური სისტემის მიერ ფორმირებული ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის პოლარიზაციის ხარისხი	
<b>§2.1.</b> პოლარიზაციის ხარისხი, როცა მადეპოლარიზებული სისტემის $\Delta n$ დროითი არგუმენტის რეალური ფუნქციაა - - - - -	34
2.1.1. მაგალითი - - - - -	39
<b>§2.2.</b> პოლარიზაციის ხარისხი, როცა მადეპოლარიზებული სისტემის $\Delta n$ დროითი არგუმენტის კომპლექსური ფუნქციაა - - - - -	44
2.2.1. მაგალითი - - - - -	47
თავი III აბსტრეტიორული ცდა პოლარიზაციულ პოლოგრაფიაში	
<b>§3.1.</b> ნაწერა და აღწარმოება სრულად პოლარიზებული სინათლის წყაროს გამოყენებით - - - - -	56
<b>§3.2.</b> ნაწერა და აღწარმოება სრულად არაპოლარიზებული სინათლის წყაროს გამოყენებით - - - - -	69
<b>§3.3.</b> ექსპერიმენტული დადასტურება - - - - -	79
დასკვნა - - - - -	82
ლიტერატურა - - - - -	84

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

პოლოგრაფია - ელექტრომაგნიტური ველის ტალღური ფრონტის სრული ნაწერისა და აღწარმოების მეთოდი-მიეკუთვნება თანამედროვე ფიზიკის იმ მიმართულებათა რიცხვს, როგორცაა ლაზერული ფიზიკა, კოჰერენტული და მატრიცული ოპტიკა, ფურიერ-გარდაქმნები და ა.შ. მათ რეკლუციური გარდატეხა მოახდინეს ოპტიკის განვითარებაში და აქციეს ის მეცნიერების დარგად, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფუნდამენტური კვლევებისა და გამოყენებითი ფიზიკის სფეროს ყველა უბანზე [1].

დენის გაბორმა, გამომდინარე სინათლის ტალღის დიფრაქციისა და ინტერფერენციის ძირითადი კანონებიდან, 1948 წელს შექმნა ოპტიკური გამოსახულების მიღების ახალი ორსაფეხურიანი მეთოდი - პოლოგრაფია (სრული ნაწერა), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შექმგრძნობიარე ფირფიტაზე (მატარებელზე) დაფიქსირდეს და შემდგომ ეტაპზე აღდგეს ობიექტის მიერ გაბნეული ტალღური ფრონტის როგორც ამპლიტუდა, ასევე ფაზა [2,3]. გაბორმა მოგვცა მეთოდის არა მხოლოდ მათემატიკური ახსნა, არამედ მისი ექსპერიმენტული დადასტურებაც.

შემდგომი პროგრესი ოპტიკური პოლოგრაფიის სფეროში დაკავშირებულია ლაზერული ტექნიკის განვითარებასთან. 1962 წელს ე.დ. ლეიტისა და ი.უპატნიეჟის მიერ მიღებული იქნა პირველი ლაზერული, არაპარაქსიალური პოლოგრამები გაბნეულ სინათლეში, რითაც საფუძველი ნაქყარა თანამედროვე პოლოგრაფიას [4,5]. ამავე წელს ლიპმანისა და ბრეგის იდეების განსოგადებისა და შერწყმის საფუძველზე ი. დენისიუკმა შეიმუშავა ამრეკლი პოლოგრამების მიღების მეთოდი [6,7]. ი. დენისიუკმა აწვინა აგრეთვე, რომ სამგანსომილებიან პოლოგრამას უნარი შესწევს საობიექტო ტალღის

კომპლექსურ ამპლიტუდასთან ერთად ადადგინოს მისი სპექტრული შემადგენლობაც. ასევე მის მიერვე იყო ნაჩვენები, რომ ტალღურ ველს სამგანზომილებიან პოლოგრაფიულ გარემოში გაანინია თვისება ადადგონოს არა მხოლოდ მდგარი ტალღის ინტენსიობა, არამედ მორბენალი ტალღებისაც, რომლებიც წარმოიქმნებიან სხვადასხვა სიგრძის ტალღების ინტერფერენციის შედეგად [8].

პოლოგრაფიის თეორიის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელი მეცნიერის ვან პირდენის შრომებმა, ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა სამგანზომილებიანი პოლოგრამის თვისება— განახორციელოს ინტეგრალური ოპერაციები მეხსიერების სისტემებში, ანალოგიურად ასოციატური მეხსიერებისა [9].

პოლოგრაფიული მეთოდი შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას ამოცანები, რომლებიც ადრე ხელმიუწვდომელი იყო ოპტიკისათვის. კერძოდ, პოლოგრაფიული მეთოდის ორეტაპობრივი ხასიათი საშუალებას გვაძლევს აქტიურად ნავერთოთ გამოსახულების ფორმირების პროცესში; რიგ შემთხვევაში არ წარმოადგენს აუცილებლობას ამ ორი ეტაპის დროითი და სივრცული განცალკავებაც კი, ასე მაგალითად, დინამიურ პოლოგრაფიაში, რომელიც აღმოცენდა პოლოგრაფიისა და არაწრფივი ოპტიკის მიჯნაზე, პოლოგრამა არსებობს—სანამ ხდება შუქმგრძნობიარე მატარებლის დასხივება. ნაწერისა და აღდგენის პროცესები მიმდინარეობს პრაქტიკულად ერთდროულად [10-13]. ციფრულ და კომპიუტერულ პოლოგრაფიაში კი სინათლის სხივი საერთოდ არ მონაწილეობს პოლოგრამის მიღების ეტაპზე ინფორმაცია მატარებელზე წერტილ-წერტილ აისახება სხვადასხვა მანიპულატორების მეშვეობით [14,15].

პოლოგრაფიული მეთოდი საშუალებას იძლევა არა მხოლოდ შეეინახოს ინფორმაცია საგნის გამოსახულებაზე, არამედ ვაწარმოოთ

ობიექტის მიერ გაბნეული ტალღური ფრონტის აპოსტერიორული დამუშავება, ასევე განვახორციელოთ ნებისმიერი წინასწარ მოცემული მასშტაბური გარდაქმნა, ფილტრაცია და შედარება დროისა და სივრცის სასურველ ინტერვალში (პოლოგრაფიული ინტერფერომეტრია) და ა.შ. [16,17].

‘ხემოთ აღწერილი პოლოგრაფიული მეთოდები ეფუძნება ელექტრომაგნიტური ველის სკალარულ თეორიას; მათი მეშვეობით შესაძლებელია ნაწერა და აღდგენა ობიექტის მიერ გაბნეული ველის მხოლოდ სკალარული მახასიათებლების – ფაზა, ამპლიტუდა, სიხშირე. უმნიშვნელოვანესი ვექტორული მახასიათებელი – ხაობიექტო ველის პოლარიზაციის მდგომარეობა–მათი მეშვეობით შექმგრძნობიარე მატარებელზე არ აისახება; არ ფიქსირდება ინტერფერენციული სურათი საობიექტო და საყრდენი ტალღების ურთიერთმართობულად პოლარიზებულ კომპონენტებს შორის; შედეგად მატარებელზე არ სდება ობიექტის ველის ადექვატური ასახვა. შემოთავაზებული სქემითი მეთოდებით [18-20] პრობლემის გადაწყვეტა ვერ ხერხდება გამოსახულების აღდგენის ეტაპზე პრინციპულად აღმოუფხვრელი დამახინჯებების გამო.

ოპტიკური პოლოგრაფიის შემდგომ განვითარებასა და სამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს პროფ. შ. ყაყინაშვილის მიერ აღმოჩენილი პოლარიზაციულ-პოლოგრაფიული ნაწერისა და აღწარმოების მეთოდი (1971 წელი) [21]. ქართველი მეცნიერის მიერ პირველად იქნა სრულად გადაჭრილი ელექტრომაგნიტური ტალღის უკლებლივ ყველა მახასიათებლის, (როგორც სკალარული ასევე ვექტორული), შექმგრძნობიარე მატარებელზე რეგისტრაციისა და შემდგომ ეტაპზე მისი სრულად აღდგენის პრობლემა.

შ. ყაყისაშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ საობიექტო და საყრდენი ტალღების ურთიერთობითი კონსტრუქციული პოლარიზებულ კომპონენტებს შორის ინტერფერენციისას ამპლიტუდური მოდულაციის არ არსებობა არ ნიშნავს პოლოგრაფიული ინფორმაციის დაკარგვას; ტალღების გადაფარვის უბანზე ფორმირდება ჯამური ველი, სივრცულად ცვლადი პოლარიზაციის მდგომარეობით. ზოგად შემთხვევაში ნებისმიერი პოლარიზაციის მქონე საობიექტო და საყრდენი ტალღების შეკრებისას პოლოგრამის სიბრტყეში ველის განაწილებას აქვს ვექტორული ხასიათი, რომელიც სკალარული რეგისტრაციის პროცესში არავითარი ფორმით არ აისახება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს პოლოგრაფიულად შექმერძნობიარე გარემოდ გამოყენებული იქნას მატარებელი, რომელიც პოლარიზებული სინათლის მოქმედებით შეიძენს ინდუცირებულ ანიზოტროპიას, რაც ახასიათებს ჯამური ველის პოლარიზაციის მდგომარეობას [22].

ამრიგად, პოლარიზაციულ-პოლოგრაფიული ნაწერის ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი არსი, რომელიც შემოგვთავაზა მეცნიერმა, მდგომარეობს შემდეგში: პოლარიზაციულად მგრძნობიარე არეობთან ურთიერთქმედებისას პოლოგრამის ნაწერის ეტაპზე, ელექტრომაგნიტურ ტალღას შესწევს უნარი წარმოქმნას ობიექტის ვექტორული ველის სტრუქტურა, სივრცულად ცვლადი ანიზოტროპიისა და გიროტროპიის ხასით. აღნიშნული სტრუქტურა მისი შემდგომი განათებისას პოლარიზებული სინათლით, აღადგენს ობიექტის საწყისი ველის არა მხოლოდ ფაზასა და ამპლიტუდას, არამედ პოლარიზაციის მდგომარეობასაც. მეთოდი რეგისტრირებულია როგორც აღმოჩენა [23]. ამით, პრაქტიკულად დასრულდა პოლოგრაფიის საფუძვლების შექმნა.

პოლარიზაციული პოლოგრამის თეორიული აღწერისათვის შ.ყაყისაშვილმა შემომავა შესაბამისი მათემატიკური აპარატი.

სინათლის პოლარიზაციის მდგომარეობისა და ოპტიკური სისტემის აღწერისათვის არჩეული იქნა ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდი, დაფუძნებული სინათლის ნაკადის პოლარიზაციის მდგომარეობის ამსახველი ვექტორის წარმოდგენასა და ოპტიკური სისტემის აღმწერი მატრიცის წარმოდგენაზე [24]. არსებული მათემატიკური აპარატის საფუძველზე შეიქმნა პოლარიზაციულად მგრძნობიარე არეებში გამოსახულების პოლოგრაფიული ნაწერისა და აღღგენის თეორია და პოლარიზაციულ-პოლოგრაფიული მეთოდი [25,26]. მეთოდის ასეთი სრულყოფა წარმოანენს სრულიად ახალ შესაძლებლობებს ელექტრომაგნიტური ველის რეგისტრაციისა და გარდაქმნის პროცესებში. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა გადაგვეჭრა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია სკალარული პოლოგრაფიის მეთოდებით. პოლარიზაციულ პოლოგრაფიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საობიექტო ველის პოლარიზაციის მდგომარეობისა და ხარისხის აღღგენა პოლოგრაფიულ ექსპერიმენტში; ეს ამოცანა მეტად აქტუალურია, რამდენადაც რეალურ შემთხვევებში ელექტრომაგნიტური ტალღები თითქმის ყოველთვის ნაწილობრივად პოლარიზებულია და ძირითად ინფორმაციულ დატვირთვას პოლარიზებული გამოსხივების გამოყენების ყველა სფეროში ატარებს პოლარიზაციის ხარისხი [26].

როგორც ცნობილია, ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლე ელექტრომაგნიტური ტალღების პოლარიზაციის უზოგადესი შემთხვევაა. არაპოლარიზებული (ბუნებრივი) – ერთი უკიდურესი შემთხვევა; ელიფსურად პოლარიზებული – მეორე. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის მიღება არაა დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან (მეველებრივ, იგი მიიღება არაპოლარიზებული სინათლისაგან არეკვლის ან გაბნევის დროს), მისი მათემატიკური აღწერა, თუნდაც რაიმე მოდელის ფარგლებში საკმაოდ

რთულია, განსაკუთრებით, არასტაციონარული ველების შემთხვევაში [27]. ეს უკანასკნელი აქტუალურია არასტაციონარული მაგნეტიკური ობიექტების მიერ გაბნეული ტალღური ველის ანალიზის ამოცანებში [27, 28].

ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის ელექტრომაგნიტური ველის სისტემური ანალიზისათვის არსებული მეთოდები ძირითადად დაფუძნებული არიან კოპერენტულობის მატრიცაზე [27,28]. ამ მატრიცის ელემენტების - ე.წ. “მეორე რიგის” კორელაციური ფუნქციების საფუძველზე შესაძლებელია ნატარდეს სტაციონარული ველების სრული ანალიზი. ანალოგიური კორელაციური ფუნქციები შეიძლება გამოყენებული იქნას არასტაციონარული ველებისთვისაც, მაგრამ, მაშინ ეს ფუნქციები უნდა განისაზღვროს სიდიდეებით, რომლებიც გასაშუალებდნენ არიან მთელ ანსამბლში და არა დროში, რაც მითხვეს საკმაოდ რთულ მათემატიკურ აპარატს. ამასთან თითქმის არ არის ექსპერიმენტები, რომლებიც არასტაციონარული ველების კოპერენტულობის ეფექტებს შეეხებოდეს [27]. გარდა ამისა, კოპერენტულობის მატრიცა, რომელიც უშუალოდ სტოქსის პარამეტრებთან არის დაკავშირებული არ ითვალისწინებს ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის ფორმირების კონკრეტულ მექანიზმს და იმ შემთხვევაში, როცა დაცემული ტალღა სრულად პოლარიზებულია— ინდუცირებული ველის აბსოლუტურ ფაზაზე ინფორმაციის მისაღებად ეს უკანასკნელი გამოუსადეგარია [29]. დასმული ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდის მოდიფიცირებით ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივებისათვის, რომელიც განახორციელა შ. ეაქისანშვილმა [30]. ამ უკანასკნელში ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლე წარმოდგენილია ორი ურთიერთ ორთოგონალური პოლარიზაციის არაკოპერენტული კომპონენტის ერთობლიობის სახით.

შემოტანილია ურთიერთ არაკომპერენტული კომპონენტების ამპლიტუდური შეჯამების ფორმალური ოპერაცია და შესაბამისი სიმბოლოების ხმარების წესები. ჯონსის მეთოდის მოდიფიკაციის შემდეგ შესაძლებელი გახდა აღწერილიყო სინათლის ველის პოლარიზაციის მდგომარეობა არასტაციონარულ, ანიზოტროპულ არეებში [31]. აღნიშნულ ასპექტში პრინციპულ ინტერესს წარმოადგენს უსოგადეხი შემთხვევა-კომპლექსური ორმაგი სხივტეხის მქონე არასტაციონარული მადეპოლარიზებული სისტემის (მოწყობილობის) მიერ ფორმირებული გამოსხივების პოლარიზაციის მდგომარეობის აღწერა და ხარისხის განსაზღვრა [32].

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლოგრაფიული მეთოდით შესაძლებელია აპოსტერიორულად გაიზომოს აღდგენილი ველის სხვადახვა მახასიათებლები გარკვეულ მომენტში დაფიქსირებული პოლოგრამის საშუალებით. პოლოგრამაზე ასახულ ობიექტის მიერ გაბნეულ ველსა და თავად ობიექტს შორის არსებული ანალოგია საშუალებას გვაძლევს გაეაფართოვოთ აპოსტერიორული ცდის კონცეფცია: შესაძლებელია თუ არა პოლოგრამაზე იმ ოპტიკური ექსპერიმენტების ანალოგიური ექსპერიმენტების ნატარება, რომლებიც უშუალოდ ობიექტზე შეიძლება განხორციელდეს პოლოგრამიდან აღდგენილი ინფორმაციის დაკარგვისა და დამახინჯების გარეშე. გაეაანალიზოთ რამდენად ღრმაა ინფორმაციული ანალოგია ობიექტსა და მის პოლოგრამას შორის. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ არაპოლარიზებული სინათლის წყაროს გამოყენებით [33].

ზემოთ ფორმირებული ამოცანები განსაზღვრავენ მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მიზანს.

ხადისერტაციო ნაშრომის მიზანია:

- I. არასტაციონარულ ანიზოტროპულ გარემოში გაერცვლებული სინათლის ველის პოლარიზაციის მდგომარეობის თეორიული ნაღიზი.
- II. არასტაციონარული მადეპოლარიზებელი სისტემის მიერ ფორმირებული, ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის პოლარიზაციის ხარისხის განსახდერა.
- III. პოლოგრამის ტალღური ველის ანიზოტროპული მასსიათებლების მიმართ აპოსტერიორული ცდის გაფართოებული კონცეფციის რეალიზების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა.

დასაცავად წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. თეორიული მდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოდელური არასტაციონარული მადეპოლარიზებელი ოპტიკური სისტემა განვიხილოთ როგორც ანიზოტროპული არე, რომლის ანიზოტროპიის ღერძის ორიენტაცია  $\rho$  და ორმაგი სხივების კომპლექსური კოეფიციენტი  $\Delta n$  დროში ცვალებადი ფუნქციებია. ამ შემთხვევაში ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივება წარმოდგენილია როგორც ერთობლიობა კოპერენტული და არაკოპერენტული კომპონენტებისა;
2. არასტაციონარული მადეპოლარიზებელი სისტემის ფუნქციონირების ანალიზი: სისტემის მიერ ფორმირებული ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლის პოლარიზაციის ხარისხის განსახდერისათვის მიღებული ანალიტიკური გამოსახულება და მისი ზოგადი სახე, როცა  $\Delta n(t)$  და  $\rho(t)$ , ოპტიკური სიხშირის შესადარისი ( $10^{-8}$ - $10^{-12}$ ), დროში სწრაფად ცვლადი ფუნქციებია.
3. არასტაციონარული ოპტიკური სისტემის მიერ ფორმირებული სინათლის ველის პოლარიზაციის ხარისხის გამოსახულება ცხადი

სახით, როცა  $\Delta n$ ,  $\Delta n$  და  $\rho$  დროის შემდეგი სახის ფუნქციებია:  $\Delta n$ ,  $\Delta n(t)$ –სინუსოიდალური;  $\rho(t)$ –წრფივი;

4. თეორიული ანალიზის საფუძველზე მიღებული პირობები, როცა მადეპოლარიზებული ოპტიკური სისტემა იწვევს დაცემული სინათლის ველის სრულ დეპოლარიზაციას;

5. პოლოგრამის ტალღური ველის ანიზოტროპული მახასიათებლების მიმართ აპოსტერიორული ცდის გაფართოებული კონცეფციის რეალიზების შესაძლებლობა მარეგისტრირებელი არაპოლარიზებული სინათლის წყაროს გამოყენების შემთხვევაში და ამ კონცეფციის რეალიზების შეუძლებლობა სრულად პოლარიზებული სინათლის წყაროს გამოყენების დროს.

### ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა:

დისერტაციაში განხორციელებული არასტაციონარული ველის მოდელური წარმოდგენა შესაძლებლობას გვაძლევს ჯონსის კვქტორულ-მატრიცული აპარატი გამოვიყენოთ ნებისმიერი არასტაციონარული მადეპოლარიზებული ოპტიკური სისტემებისათვის (მოწყობილობებისათვის), აღვწეროთ ამგვარი სისტემისა და თავდაპირველად სრულად პოლარიზებული გამოსხივების ურთიერთქმედების შედეგად ფორმირებული ნაწილობრივ პოლარიზებული ველის პოლარიზაციის მდგომარეობა და განვსაზღვროთ პოლარიზაციის ხარისხი, ამასთან მთლიანად შეეინარსუნოთ ჯონსის მეთოდის გამოყენების სქემა, მისი ძირითადი ღირსება–სიმარტივე და უნივერსალობა;

მადეპოლარიზებული ოპტიკური სისტემისათვის იმ პირობების განსაზღვრა, როცა სისტემა გავრცელებული სინათლის

დეპოლარიზაციას იწვევს, მნიშვნელოვანია გამოყენებითი ოპტიკის მთელ რიგ ამოცანებში: მაგალითად, დაცემული გამოსხივების ანისოტროპულ მოლეკულებზე გაბნევის შემთხვევაში დეპოლარიზაციის ხიდიდის განსაზღვრა იძლევა ინფორმაციას მათ ხივრცულ აღნაგობაზე, ამასთან სხვა მოლეკულურ-ოპტიკურ გასომეებთან ერთად საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ მოლეკულების პოლარიზების უნარი [34], განვსაზღვროთ ნივთიერებაში სითბური და სხნარებში კონცენტრაციების ფლუქტუაციები, მივიღოთ ინფორმაცია ულტრა- და ჰიპერულტრა ბგერითი ტალღების გაფრცველების შესახებ და მათ ფაზურ გარდაქმნებზე [35].

ხინათლის დეპოლარიზაციის განსაზღვრა ფოტოლუმინესცენციის დროს საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია მშთანთქმელი და გამომსხივებელი ცენტრების ურთიერთქმედებაზე [35], ასევე ნაწილაკებს შორის ენერგიის გადაცემის თაობაზე [36].

ობიექტსა და მის პოლოგრაფიულ გამოსახულებას შორის სრული ანალოგიის არსებობა, მათ მიერ ფორმირებული ველების ვექტორული მახასიათებლების თვალსაზრისით, ადასტურებს პოლოგრამაზე ოპტიკური ექსპერიმენტების ნატარების შესაძლებლობას, რომლებიც სავსებით ანალოგიურია უშუალოდ ობიექტზე ნატარებული ექსპერიმენტების;

არაგასაშუალებული ინფორმაციის პოლოგრამაზე რეგისტრაციის შესაძლებლობას გააჩნია გარკვეული ევრისტიკული მნიშვნელობა, რამაც შეიძლება ნათელი მოჰყინოს სინათლისა და ნივთიერების ურთიერთქმედების ქტატისტიკურ და ფლუქტუაციურ მექანიზმებს ელემენტარულ დონეზე;

პრაქტიკულ ასპექტში—არგუმენტირებულია აღწერილი მეთოდის გამოყენება ნებისმიერი სახის მაპოლარიზებული ოპტიკური სისტემების კომპირებისათვის; პოლოგრაფიული გადაღებით შეიძლება გამრავლდეს

უნიკალური მოწყობილობები, რომლებიც ფუნქციონალურად  
იდენტიურია თვით ამ მოწყობილობებთან.

|

ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივება—მისი მიღების  
ხერხები და ანალიზი


§ 1.1 პოლარიზებული სინათლის აღწერის ელემენტები

როგორც ცნობილია, ელექტრომაგნიტური ტალღების, კერძოდ, სინათლის ველის პოლარიზაციის აღწერისათვის მიღებულია ელექტრული ვექტორის პროექციის დროში (ველილების განხილვა ტალღის გავრცელების პერპენდიკულარულ სიბრტყეში [37]. ზოგადად ელექტრული ვექტორის ბოლო სივრცის ნებისმიერ წერტილში მოძრაობს პერიოდულად და აღწერს ელიფსს, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში გადადის წრეწირში ან სწორ ხაზში. პოლარიზაციის ელიფსი შეიძლება დავახასიათოთ სამი პარამეტრით—პროექციის ახიმუჯით  $\alpha$  (კუთხე ელიფსის დიდ ღერძსა და ლაბორატორიულ კოორდინატთა სისტემის  $x$  ღერძს შორის), ელიფსურობით  $\varepsilon = \frac{b}{a}$  (ელიფსის პატარა ღერძის დიდ ღერძთან შეფარდება) და ელექტრული ვექტორის ბრუნვის მიმართულებით (მარცხნივ და მარჯვნივ) (სურათი 1.ა).

წრფივად პოლარიზებულ სინათლეს გააჩნია უსასრულო რაოდენობა პროექციის ახიმუჯის შესაძლო შემთხვევებისა და ნულის ტოლი ელიფსურობა. ცირკულარულად (წრიულად) პოლარიზებულ სინათლეს ელიფსურობა ერთის ტოლი და ბრუნვის ორი შესაძლო მიმართულება —მარჯვნივ და მარცხნივ.

1.ბ. სურათზე წარმოდგენილია პოლარიზაციის ელიფსის გარდაქმნა ერთეულოვანი სისქის ანიზოტროპულ ფირფიტაში სინათლის გავლის შემდეგ. ფირფიტის ანიზოტროპიის ღერძები აღწერილია გარდატეხის ორი კომპლექსური კოეფიციენტით  $\hat{n}_x$  და

$\hat{n}_y (\hat{n} = n(1-i\tau))$ , სადაც  $n$  გარდატეხის კოეფიციენტის ნამდვილი ნაწილია, ხოლო  $\tau$ -ექსტინქციის კოეფიციენტი, დაკავშირებული სინათლის შთანთქმასთან გარემოში [25]. ფირფიტაზე დაცემული სინათლის ელექტრული  $E$  ვექტორის კომპონენტები -  $E_x$  და  $E_y$  განიცდიან შეკონტინებას, რაც აღიწერება  $E_x e^{-i\kappa\hat{n}_x}$  და  $E_y e^{-i\kappa\hat{n}_y}$  გამოსახულებებით. ამ პროექციებს შეესაბამება ფირფიტაში გასული სინათლის ჯამური ვექტორი  $E'$ .



ნახ. 1. ელიფსურად პოლარიზებული სხივის პროექციული სურათი (ა) და ელიფსურად პოლარიზებული სხივის ელექტრული ვექტორის გარდაქმნა ანიზოტროპული ფირფიტის მიერ (ბ).

პოლარიზებული ტალღა, ბრტყელი ფრონტით, გავრცელებული ლაბორატორიულ კოორდინატთა სისტემის  $Z$  დერძის გასწვრივ, შეიძლება წარმოდგენილი იქნას ორ ელემენტარულ სხივის სახით რომელსაც ჯონსის სრულ ვექტორს უწოდებენ [24]

$$\begin{pmatrix} E_x \\ E_y \end{pmatrix} = \exp i(\omega t - \kappa z) \begin{pmatrix} A_x \exp i\delta_x \\ A_y \exp i\delta_y \end{pmatrix}, \quad (1.1)$$

სადაც  $\omega = 2\pi/T$ ;  $\kappa = 2\pi/\lambda$  ( $T$  რხევის პერიოდი;  $\lambda$ —ტალღის სიგრძე);  $E_x$  და  $E_y$  ველექტრული ვექტორის კომპონენტებია შესაბამის დერძებზე;  $A_x, A_y$ —ამპლიტუდები;  $\delta_x, \delta_y$ —ამ კომპონენტების საწყისი ფაზები.

ოპტიკური მოწყობილობის აღსაწერად, რომელშიც კოპერენტული პოლარიზებული სინათლე ვრცელდება, არსებულია მატრიცული წარმოდგენა, განვითარებული აგრეთვე ჯონსის მიერ [24,38-42]. მოწყობილობა აღიწერება  $2 \times 2$  მატრიცით და საშუალებას იძლევა მოწყობილობასთან სინათლის ურთიერთქმედების შედეგი განისაზღვროს ჯონსის ვექტორისა და შესაბამისი ჯონსის მატრიცის გამრავლებით. ოპტიკური მოწყობილობების ერთობლივი მოქმედების შედეგის აღწერისათვის მარჯვნივ იწერება დაცემული სინათლის ჯონსის ვექტორი, შემდეგ მარჯვნიდან მარცხნივ სინათლის მიერ გაკლილი მოწყობილობების მატრიცები ისე, რომ ყველაზე ბოლო მოწყობილობის მატრიცა აღმოჩნდეს მარცხნივ.

კომპლექსური გარდატეხის მქონე ანიზოტროპული სტრუქტურისათვის (ორმაგი სხივტეხა და დიქროიზმი) ჯონსის მატრიცას აქვს სახე [26]:

$$M_j = \begin{pmatrix} \cos^2 \rho e^{-ixd\hat{n}_x} + \sin^2 \rho e^{-ixd\hat{n}_y} & \cos \rho \sin \rho (e^{-ixd\hat{n}_x} - e^{-ixd\hat{n}_y}) \\ \cos \rho \sin \rho (e^{-ixd\hat{n}_x} - e^{-ixd\hat{n}_y}) & \sin^2 \rho e^{-ixd\hat{n}_x} + \cos^2 \rho e^{-ixd\hat{n}_y} \end{pmatrix}, \quad (1.2)$$

სადაც  $\hat{n}_+$  და  $\hat{n}_-$  — გარდატეხის კომპლექსური მანვენების კომპონენტებია შესაბამის დერძებზე;  $d$  — არის ხისქე;  $\rho$  — ანიზოტროპიის დერძის ორიენტაციის კუთხე.

კომპლექსური წრიული ორმაგი სხივტეხის მქონე გიროტროპული მოწყობილობისათვის, როცა წრიულ ორმაგ სხივტეხასთან ერთად არე ხასიათდება წრიული შთანთქმით, ჯონსის მატრიცას აქვს სახე [26]:

$$M_G = \frac{1}{2} \begin{pmatrix} \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_+d\right) + \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_-d\right) & i \left[ \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_+d\right) - \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_-d\right) \right] \\ -i \left[ \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_+d\right) - \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_-d\right) \right] & \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_+d\right) + \exp\left(-\frac{i\kappa}{2}n_-d\right) \end{pmatrix}, \quad (13)$$

სადაც  $\hat{n}_+$  და  $\hat{n}_-$  კომპლექსური წრიული ორმაგი სხივტეხის კოეფიციენტებია შესაბამისად მარჯვენა და მარცხენა ცირკულარულად პოლარიზებული სინათლისათვის.

ჯონსის მატრიცა შეერეული, ანიზოტროპულ-გიროტროპული სტრუქტურისათვის შეიძლება მიღებულ იქნას შესაბამისი ჯონსის მატრიცების გადამრავლებით:

$$M_{IG} = M_I M_G \quad \text{ან} \quad M_{GI} = M_G M_I,$$

წრფივ მიახლოებაში ჯონსის მატრიცა დებულობს შემდეგ სახეს [26]:

$$M_{IG} \approx \exp\left[\frac{-ikd}{2}(\hat{n}_+ + \hat{n}_+)\right] \times \exp\left[\frac{-ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+)\right] \times \begin{pmatrix} 1 - \cos 2\rho \times \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) & -\sin 2\rho \times \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) - \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) \\ -\sin 2\rho \times \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) + \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) & 1 + \cos 2\rho \times \frac{ikd}{2}(\hat{n}_+ - \hat{n}_+) \end{pmatrix}. \quad (14)$$



ჯონსის მატრიცები უმეტესი სტანდარტული მოწყობილობებისათვის მოყვანილია ნაშრომებში [43,44].

ჯონსის მეთოდს დიდი უპირატესობა აქვს სხვა მეთოდებთან შედარებით. ის კომპაქტური და მოსახერხებელია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ამოცანებში, სადაც კონებს შორის ფაზური თანაფარდობის გათვალისწინებაა აუცილებელი; აგრეთვე, სრულად პოლარიზებული ტალღების შეჯამებისა და სხვადასხვა მოწყობილობების ერთობლიობაში გასული სინათლის პოლარიზაციის აღწერის ამოცანებში [44]. ჯონსის მიერ შემოთავაზებული მეთოდის მნიშვნელოვანი შეხედულებას წარმოადგენს მისი გამოყენება მხოლოდ სრულად პოლარიზებული სინათლისათვის. მეთოდის ეს მნიშვნელოვანი შეხედულება გადაჭრილ იქნა ამ მეთოდის მოდიფიკაციის შემდეგ ნაწილობრივად პოლარიზებული სინათლისათვის [30, 31].

1.1.1. ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდის მოდიფიკაცია. როგორც ცნობილია, ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივება შეიძლება წარმოდგენილი იქნას ან პოლარიზებული და არაპოლარიზებული კომპონენტების ერთობლიობის სახით, ან არი ერთიერთ არაკოპერენტული ორთოგონალური პოლარიზაციის კომპონენტების ერთობლიობის სახით, რომელთა ინტენსივობები მაქსიმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [44]. შესაბამისად, პოლარიზაციის ხარისხი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობებიდან ერთ-ერთით:

$$V = \frac{I_a}{I_a + I_b}, \quad V = \frac{I_{\max} - I_{\min}}{I_{\max} + I_{\min}}, \quad (1.5)$$

სადაც  $I_a$  და  $I_b$  პოლარიზებული და არაპოლარიზებული კომპონენტების ინტენსივობებია;  $I_{\max}$  და  $I_{\min}$  - ინტენსივობის ექსტრემალური მნიშვნელობები.

არაპოლარიზებული ხინათლისათვის პოლარიზაციის ხარისხი ნულის ტოლია, სრულად პოლარიზებულიათვის - ერთის და ღებულობს შუალედურ მნიშვნელობას ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივების შემთხვევაში.

ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდის მოდიფიკაციას საფუძვლად დაედო ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივების წარმოდგენა ორი ურთიერთ ორთოგონალური პოლარიზაციის არაკოპერენტული კომპონენტის ერთობლიობის სახით, რომლებიც სახიათდებიან ტოლი ელიფსურობით, ელიფსის დიდი ღერძების ორთოგონალური ორიენტაციით და ბრუნვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით; შემოტანილი იქნა ამპლიტუდათა არაკოპერენტული შეჯამების ფორმალური ოპერაცია, განსაზღვრული იქნა შესაბამის ნიშნაკთან ოპერირების წესები და ჯონსის ვექტორი წარმოდგენილი იქნა სახით, რომელსაც მოდიფიცირებული ჯონსის ვექტორი ეწოდა:

$$E = E_{\pm} \exp(i(\omega t + \varphi)) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix} \oplus E_{\mp} \exp(i(\omega t + \psi \mp \frac{\pi}{2})) \begin{pmatrix} \pm i\varepsilon \\ 1 \end{pmatrix},$$

სადაც  $\varepsilon = \frac{E_{\pm}}{E_{\mp}} = \frac{E_{\mp}}{E_{\pm}}$ ,  $0 \leq \varepsilon \leq 1$ ;  $\oplus$  ნიშნაკი აღნიშნავს ამპლიტუდათა

არაკოპერენტულ შეჯამებას და ამასთან აღვილი აქვს შემდეგ წესებს:

$$I^{\circ} \quad E = E_{\pm} \oplus E_{\mp} = E_{\mp} \oplus E_{\pm}$$

$$2^{\circ} \quad E = \sum_{i=1}^n E_i; E_i = E_{A_i} \oplus E_{B_i}; E_A = \sum_{i=1}^n E_{A_i}; E_B = \sum_{i=1}^n E_{B_i},$$

$$3^{\circ} \quad E_{\theta} = S(\theta)E = S(\theta)E_A \oplus S(\theta)E_B,$$

$$4^{\circ} \quad E' = S(-\theta)MS(\theta)E = S(-\theta)MS(\theta)E_A \oplus S(-\theta)MS(\theta)E_B,$$

$$5^{\circ} \quad \operatorname{Re}(E(x, y, z, t)) = p \cos \omega t + q \sin \omega t,$$

$$p = \operatorname{Re} E_A \oplus \operatorname{Re} E_B = p_A \oplus p_B,$$

$$q = \operatorname{Im} E_A \oplus \operatorname{Im} E_B = q_A \oplus q_B,$$

$$f(p) = f(p_A) + f(p_B),$$

$$f(q) = f(q_A) + f(q_B),$$

$$6^{\circ} \quad I = E^* E = (E_A \oplus E_B)^* (E_A \oplus E_B) = E_A^* E_A + E_B^* E_B.$$

ამ წესებში, მიღებული შეთანხმებით,  $E_A$  ერთი ბაზისიდან არის, ხოლო  $E_B$  - მისი ორთოგონალური და არაკომპერენტულიდან;  $S(\theta)$  და  $S(-\theta)$  მობრუნების პირდაპირი და შებრუნებული მატრიცებია [44];  $M$ -მაპოლარიზებული მოწყობილობის ჯონსის მატრიცა;  $f$  -  $p$  და  $q$  კომპონენტების ბიწრფივი ფორმა; “+” ნიშნაკით აღნიშნულია ჯონსის ერმიტულად შეუღლებული ვექტორი.

არაპოლარიზებული სინათლის შემთხვევაში, მოდიფიცირებული ჯონსის ვექტორი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნებისმიერი ორი არაკომპერენტული წინასწარ მოცემული ორთოგონალური პოლარიზაციის კომპონენტების ჯამის სახით, რომელთათვისაც

$$E_{1,2} = E_{B,1}; E_{A,1} = E_{B,2};$$

$$E = E_{A,x} \exp i(\omega t + \varphi) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix} \oplus E_{A,y} \exp i\left(\omega t + \psi \mp \frac{\pi}{2}\right) \begin{pmatrix} \pm i\varepsilon \\ 1 \end{pmatrix},$$

$$I = 2(E_{A,x}^2 + E_{A,y}^2); \quad V = 0;$$

ელიფსურად სრულად პოლარიზებული სინათლის შემთხვევაში:

$$E = E_{A,x} \exp i(\omega t + \varphi) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix},$$

$$I = E_{A,x}^2 + E_{A,y}^2; \quad V = 1.$$

ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივებით ინდუცირებული ანიზოტროპია და გიროტროპია აგრეთვე შეიძლება აღიწეროს ჯონსის მატრიცით, რომელიც აგებულია ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივების ურთიერთ ორთოგონალური კომპონენტებით ინდუცირებული ანიზოტროპიის და გიროტროპიის სტრუქტურების შესაბამისი მატრიცებით, მათი გამოყენების შემდეგი წესებით [45] :

$$1^{\circ} \quad M = M_A M_B;$$

$$2^{\circ} \quad M = \prod_{i=1}^n \prod_{j=1}^n M_{A_i} M_{B_j}; \quad M_A = \prod_{i=1}^n M_{A_i}; \quad M_B = \prod_{j=1}^n M_{B_j};$$

$$3^{\circ} \quad M(\theta) = S(-\theta) M S(\theta).$$

ჯონსის ვექტორულ-მატრიცული მეთოდის ამგვარმა მოდიფიკაციამ საშუალება მოგვცა აღგვეწერა არასტაკინარულ ანიზოტროპულ ოპტიკურ სისტემაში (გარემოში) გავრცელებული,

თავდაპირველად სრულად პოლარიზებული სინათლის დეპოლარიზაცია, მისი გამოყენების ფორმალური სქემის სრული შენარსუნებით [31, 32].

§1.2 პოლარიზებული სინათლის გავრცელება არასტაციონარულ ანიზოტროპულ ოპტიკურ სისტემებში.

როგორც ცნობილია, ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივების მიღების ორი ძირითადი ხერხი არსებობს [46]:

- ა) არაპოლარიზებული გამოსხივების გავრცელება ოპტიკურ, სპექტრულ და მაპოლარიზებულ ფილტრებში;
- ბ) სრულად პოლარიზებული გამოსხივების გავრცელება მადეპოლარიზებულ ოპტიკურ სისტემებში.

მოკვლეულ ნაშრომში ნაწილობრივად პოლარიზებული გამოსხივების მიღება განიხილება, როგორც თავდაპირველად სრულად პოლარიზებულ სინათლეზე არასტაციონარული ანიზოტროპული ოპტიკური სისტემის შემოქმედების შედეგი. კერძოდ, ჩვენ ვიხილავთ მოდელურ არასტაციონარულ სისტემებს წარმოდგენილებს ორმაგი სხივბრუნვის ანიზოტროპული არეების სახით, რომელთა გარდატეხის მანქანებელი (როგორც რეალური ასევე კომპლექსური) და ანიზოტროპიის ღერძის ორიენტაციის კუთხე დროში ცვლადი ფუნქციებია.

1.2.1. არასტაციონარული სისტემა რეალური ორმაგი სხივბრუნვით.

განვიხილოთ  $d$  სისქის მქონე ანიზოტროპული არე ორმაგი სხივბრუნვის კოეფიციენტით  $\Delta n = n_x - n_y$  ( $n_x, n_y$  გარდატეხის მანქანების რეალური კოეფიციენტებია შესაბამის ღერძებზე) და ანიზოტროპიის

დერძის ორიენტაციით  $\rho$ . ამ შემთხვევაში არის აღმწერი ჯონსის მატრიცა შეიძლება ჩაწერილი იქნას შემდეგი სახით [26] :

$$M = \begin{pmatrix} \cos^2 \rho e^{-ixdn_x} + \sin^2 \rho e^{-ixdn_y} & \cos \rho \sin \rho (e^{-ixdn_x} - e^{-ixdn_y}) \\ \cos \rho \sin \rho (e^{-ixdn_x} - e^{-ixdn_y}) & \sin^2 \rho e^{-ixdn_x} + \sin^2 \rho e^{-ixdn_y} \end{pmatrix} =$$

$$= \exp \frac{-ikd}{2} (n_x + n_y) \begin{pmatrix} m_{11} & m_{12} \\ m_{21} & m_{22} \end{pmatrix}, \quad (1.6)$$

სადაც

$$m_{11} = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) - i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \cos^2 \rho,$$

$$m_{12} = m_{21} = -i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \sin^2 \rho,$$

$$m_{22} = m_{11}^* = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) + i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \cos^2 \rho.$$

დავუშვათ, ანიზოტროპულ არეში, რომელიც აღწერილია (1.6)-ით, გადის, ლაბორატორიულ კოორდინატთა სისტემის Z დერძის გასწვრივ გაკრცელებული,  $\omega_0$  სიხშირის ელიფსურად სრულად პოლარიზებული ტალღა E, რომლის ელიფსის დიდი დერძი ორიენტირებულია X დერძის გასწვრივ :

$$E = E_x \exp i(\omega_0 t - \kappa_0 Z) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix}, \quad 0 \leq \varepsilon = \frac{z}{E_x} \leq 1. \quad (1.7)$$

ამ შემთხვევაში, მოწყობილობაში გავლის შედეგად გამოსასვლელზე ფორმირებული ველი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$E' = ME = E_0 \exp(-i\kappa_0 z) \exp i \left( \omega_0 t - \frac{\kappa_0 d}{2} (n_x + n_y) \right) \begin{pmatrix} m_{11} & m_{12} \\ m_{21} & m_{22} \end{pmatrix} \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix}. \quad (1.8)$$

თუ მატრიცის  $m_{ij}$  ელემენტები დროში უცვლელია, მაშინ მათი გადამრავლება  $E$  ვექტორის კომპონენტებზე გავლენას არ ახდენს გამავალი სინათლის კოჰერენტულობაზე და  $E'$  შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

$$E' = E_A + E_B, \quad (1.9)$$

სადაც

$$E_A = E_x \exp i \left( \omega_0 t - \kappa_0 z - \frac{\kappa_0 d}{2} (n_x + n_y) \right) \begin{pmatrix} m_{11} \\ \pm i\varepsilon m_{22} \end{pmatrix},$$

$$E_B = E_x \exp i \left( \omega_0 t - \kappa_0 z - \frac{\kappa_0 d}{2} (n_x + n_y) \right) \begin{pmatrix} \pm i\varepsilon m_{12} \\ m_{21} \end{pmatrix}.$$

თუ  $\Delta n$  და  $\rho$  ოპტიკური სიხშირის შესადარისი ( $10^{-8}$ - $10^{-12}$ ) დროის სწრაფი ფუნქციებია, ხოლო  $n_x + n_y$  საკმარისი სიზუსტით შეიძლება

ნავთვალთ მუდმივ სიდიდედ, მაშინ  $\Delta t$ -ის და  $\rho$ -ს დროში ცვლილება განაპირობებს  $m_n$  ელემენტების არასტაციონარულობას, ამასთან თუ ამ ელემენტებს შორის ადგილი აქვს წრფივ ფუნქციონალურ კავშირს, მაშინ მათი გადამრავლება  $E$  ვექტორის კომპონენტებზე გავლენას არ ახდენს გამავალი სინათლის კოპერენტულობაზე, ხოლო თუ მატრიცის ელემენტებს შორის ასეთი კავშირი არ არის, მაშინ გადამრავლებისას წარმოიქმნება დროში დამოუკიდებლად ცვლადი კომპონენტები, რაც მათი ვექტორული შეჯამების სურათის არაშეთანხმებლად ფლუქტუაციას გვაძლევს. თავდაპირველად სრულად პოლარიზებული სინათლე დეპოლარიზაციასა და დემონოქრომატიზაციას განიცდის და  $E_x$  და  $E_y$  კომპონენტებს შორის წვეულებრივი შეჯამების ნიშნაკის დასმა არ შეიძლება [31].

ამგვარი ანალიზისათვის თავდაპირველად გამოყენებული იყო ფუნქციონალური მსახდერელი-იაკობიანი [47], რომელიც ძირითადად მრავალცვლადიანი ფუნქციებისათვის არის მოსახერხებელი. წყნ ვიხილავთ ერთცვლადიან ფუნქციებს, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ ვისარგებლოთ ვრონსკიანით (განზოგადებული კომპლექსური ფუნქციებისათვის), რომელიც ასეთ შემთხვევებში უფრო სრულყოფილია, როგორც წრფივი ფუნქციონალური მსახდერელი [48]. ვრონსკიანის თანახმად, თუ შესაბამისი მსახდერელი  $W$  იგივეურად ნულის ტოლია, მაშინ გასაანალიზებელ ფუნქციებს შორის წრფივი ფუნქციონალური კავშირი არსებობს, ხოლო თუ იგივეურად არ არის ნულის ტოლი - ასეთი კავშირი არ არსებობს.

$m_{11}(t)$  და  $m_{22}(t)$  ელემენტებისათვის :

$$W[\text{Rem}_{11}(t), \text{Rem}_{22}(t)] = \begin{vmatrix} (\text{Rem}_{11}(t))' & (\text{Rem}_{22}(t))' \\ \text{Rem}_{11}(t) & \text{Rem}_{22}(t) \end{vmatrix} = 0,$$

$$W[\text{Im}m_{11}(t), \text{Im}m_{22}(t)] = \left| \frac{(\text{Im}m_{11}(t))' (\text{Im}m_{22}(t))'}{\text{Im}m_{11}(t) \text{Im}m_{22}(t)} \right| = 0. \quad (1.10)$$

$m_{12}(t)$  და  $m_{21}(t)$  ელემენტებისათვის:

$$W[\text{Re}m_{12}(t), \text{Re}m_{21}(t)] = W[\text{Im}m_{12}(t), \text{Im}m_{21}(t)] = 0. \quad (1.11)$$

$m_{11}(t), m_{12}(t)$  და  $m_{22}(t), m_{21}(t)$  წყვილებისათვის :

$$W[\text{Re}m_{11}(t), \text{Re}m_{12}(t)] = W[\text{Re}m_{22}(t), \text{Re}m_{21}(t)] = 0. \quad (1.12)$$

$$W[\text{Im}m_{11}(t), \text{Im}m_{12}(t)] = \left| \frac{(\text{Im}m_{11}(t))' (\text{Im}m_{12}(t))'}{\text{Im}M_{11}(t) \text{Im}M_{12}(t)} \right| =$$

$$= \left| \begin{array}{cc} \left( -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \cos 2\rho(t) \right)' & \left( -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \sin 2\rho(t) \right)' \\ -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \cos 2\rho(t) & -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \sin 2\rho(t) \end{array} \right| =$$

$$= -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \sin 2\rho(t) \left[ -\sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \cos 2\rho(t) - \sin\left(\frac{\kappa d}{2} \Delta n(t)\right) \cos' 2\rho(t) \right]$$

$$\begin{aligned}
& -\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 2\rho(t)\left[-\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin 2\rho(t)-\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin' 2\rho(t)\right]= \\
& =\frac{\kappa d}{8}\frac{\partial\Delta n(t)}{\partial t}\sin(\kappa d\Delta n(t))\sin 4\rho(t)+2\frac{\partial\rho(t)}{\partial t}\sin^2\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 4\rho(t). \quad (1.13)
\end{aligned}$$

$$W[\text{Im}m_{22}(t), \text{Im}m_{21}(t)] = \begin{vmatrix} (\text{Im}m_{22}(t))' & (\text{Im}m_{21}(t))' \\ \text{Im}m_{22}(t) & \text{Im}m_{21}(t) \end{vmatrix} =$$

$$= \begin{vmatrix} \left(\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 2\rho(t)\right)' & \left(-\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin 2\rho(t)\right)' \\ \sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 2\rho(t) & -\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin 2\rho(t) \end{vmatrix} =$$

$$= -\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin 2\rho(t)\left[\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 2\rho(t)+\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos' 2\rho(t)\right]+$$

$$+\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 2\rho(t)\left[-\sin'\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin 2\rho(t)-\sin\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\sin' 2\rho(t)\right]=$$

$$= -\frac{\kappa d}{2}\frac{\partial\Delta n(t)}{\partial t}\sin(\kappa d\Delta n(t))\sin 4\rho(t)-2\frac{\partial\rho(t)}{\partial t}\sin^2\left(\frac{\kappa d}{2}\Delta n(t)\right)\cos 4\rho(t). \quad (1.14)$$

(1.12)-(1.14)-დან გამომდინარე  $M$  მატრიცის ელემენტების რასტაცონარულობის დროს, არც  $m_{11}(t)$  და  $m_{12}(t)$ -ს შორის და არც

$m_2(t)$  და  $m_{21}(t)$ -ს შორის წრფივი ფუნქციონალური კავშირი არ არის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ  $E_A$  და  $E_B$  ურთიერთ არაკოპერენტულია და მათ შორის ჩვეულებრივი შეჯამების ნიშნაკის დასმა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ ამპლიტუდების არაკოპერენტული შეჯამების ნიშნაკით  $\oplus$  (თავი 1, §1.1). ჯამური ველის პოლარიზაციის მდგომარეობის ანალიზისათვის გამოვთვალოთ მისი შემადგენელი კომპონენტების პოლარიზაციის ელიფსის მახასიათებლები [44]: ახიმუცი  $\alpha$

$$\alpha = \frac{1}{2} \arctg[\operatorname{tg}(2R) \cdot \cos \gamma], \quad R = \left| \arctg\left(\frac{E_1}{E_2}\right) \right|, \quad \gamma = |\varepsilon_1 - \varepsilon_2|;$$

ელიფსურობა

$$\frac{b}{a} = \operatorname{tg} \beta, \quad \beta = \frac{1}{2} \arcsin(\sin 2R \cdot |\sin \gamma|);$$

ბრუნვის მიმართულება  $\sin \gamma$ ; თუ  $\sin \gamma > 0$ , მაშინ გვაქვს ელიფსი მარჯვენა ბრუნვით, თუ  $\sin \gamma < 0$ , მაშინ ელიფსი-მარცხენა ბრუნვით. ჩვენს შემთხვევაში მივიღებთ:

$$\alpha_A = 0, \quad \beta_A = \frac{1}{2} \arcsin\left(\frac{2\varepsilon}{1+\varepsilon^2}\right), \quad \sin \gamma_A = \sin \frac{\pi}{2} > 0.$$

$$\alpha_B = \frac{\pi}{2}, \quad \beta_B = \frac{1}{2} \arcsin\left(\frac{2\varepsilon}{1+\varepsilon^2}\right), \quad \sin \gamma_B = \sin\left(-\frac{\pi}{2}\right) < 0.$$

მიღებულიდან გამომდინარე,  $E_A$  და  $E_B$  წარმოადგენენ ურთიერთ ორთოგონალური პოლარიზაციის კომპონენტებს ტოლი ელიფსურობებით, ელიფსის დიდი ღერძების ორთოგონალური ორიენტაციებით და ბრუნვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით, ე.ი. არასტაციონარული ანიზოტროპული სისტემის

მიერ ფორმირებული ველი ნაწილობრივად პოლარიზებულია (პოლარიზაციის ხარისხის განსაზღვრების თანახმად) და

$$E' = E_A \oplus E_B. \quad (1.15)$$

1.2.2. არასტაციონარული სისტემა კომპლექსური ორმაგი სხივტეხით.

განვიხილოთ ანიზოტროპული არე კომპლექსური ორმაგი სხივტეხით  $\Delta \hat{n} = \hat{n}_x - \hat{n}_y$ , სადაც  $\hat{n}_x = n_x(1 - i\tau_x)$ ,  $\hat{n}_y = n_y(1 - i\tau_y)$ ;  $n_x, n_y$  გარდატეხის მაჩვენებლების რეალური კოეფიციენტებია;  $\tau_x, \tau_y$  - კესტინქციის კოეფიციენტები. დავეუშვათ, რომ ორმაგი სხივტეხისა და ანიზოტროპული შთანთქმის დერძები ერთმანეთს ემთხვევა და ორიენტირებულია კუთხით  $\rho$  ლაბორატორიულ კოორდინატთა სისტემის მიმართ. ამ შემთხვევაში ანიზოტროპული არის შესაბამის ჯონსის მატრიცას აქვს შემდეგი სახე:

$$M = \exp -i \frac{\kappa_0 d}{2} (\hat{n}_x + \hat{n}_y) \begin{pmatrix} \hat{m}_{11} & \hat{m}_{12} \\ \hat{m}_{21} & \hat{m}_{22} \end{pmatrix}, \quad (1.16)$$

$$\hat{m}_{11} = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) - i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) \cos 2\rho = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) \left[ \operatorname{ch}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) - \operatorname{sh}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) \cos 2\rho \right] +$$

$$+ i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \left[ \operatorname{sh}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) - \operatorname{ch}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) \cos 2\rho \right],$$

$$\hat{m}_{12} = \hat{m}_{21} = -i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) \sin 2\rho = - \left[ \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \operatorname{sh}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) + i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \operatorname{ch}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) \right] \sin 2\rho,$$

$$\dot{m}_{22} = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) + i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}\right) \cos 2\rho = \cos\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \left[ \operatorname{ch}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) + \operatorname{sh}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) \cos 2\rho \right] + i \sin\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n\right) \left[ \operatorname{sh}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) + \operatorname{ch}\left(\frac{\kappa_0 d}{2} \Delta n \tau\right) \cos 2\rho \right].$$

დაეუშვათ, (1.16) ანიზოტროპულ არეში, გადის  $Z$  ღერძის გასწვრივ გავრცელებული  $\omega_0$  სიხშირის ელიფსურად სრულად პოლარიზებული ბრტყელი ტალღა  $E$ , ელიფსის დიდი ღერძის  $X$  ღერძის გასწვრივ ორიენტაციით, და  $\Delta \hat{n}$  და  $\rho$ , ისე როგორც 1.2.1-ში, დროში საკმარისად სწრაფად ცვლადი ფუნქციებია (ნახ.2), მაშინ გასული ტალღის ველი ნაიწერება შემდეგი სახით:

$$E' = ME = \exp -i \frac{\kappa_0 d}{2} (\hat{n}_x + \hat{n}_y) \begin{pmatrix} \dot{m}_{11}(t) & \dot{m}_{12}(t) \\ \dot{m}_{21}(t) & \dot{m}_{22}(t) \end{pmatrix} E, \exp(\omega_0 t - \kappa_0 z) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix}, \quad (1.17)$$

სადაც

$$E = E, \exp -i(\omega_0 t - \kappa_0 z) \begin{pmatrix} 1 \\ \pm i\varepsilon \end{pmatrix}.$$

მოწყობილობიდა გამოსული სინათლის ველის პოლარიზაციის მდგომარეობის ანალიზისათვის კვლავ გამოვიყენოთ ფუნქციონალური მსახდერელი ერონსკიანი:

$$W[\dot{m}_{11}(t), \dot{m}_{22}(t)] = \frac{\kappa_0 d}{2} \sin(\kappa_0 d \Delta \hat{n}(t)) \cos^2 2\rho(t) \frac{\partial \Delta \hat{n}(t)}{\partial t} + 2i \left[ \frac{\kappa_0 d}{2} \cos^2 \left( \frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}(t) \right) \cos 2\rho(t) \times \right. \\ \left. \times \frac{\partial \Delta \hat{n}(t)}{\partial t} - \sin(\kappa_0 d \Delta \hat{n}(t)) \sin^2 \rho(t) \frac{\partial \rho(t)}{\partial t} \right] \neq 0, \quad (1.18)$$


$$W[\hat{m}_{11}(t), \hat{m}_{12}(t)] = -2 \sin^2 \left( \frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}(t) \right) \left( \sin^2 2\rho(t) + \cos 2\rho(t) \sin 2\rho(t) \right) \frac{\partial \rho(t)}{\partial t} -$$

$$- i \left( \frac{\kappa_0 d}{2} \sin 2\rho(t) \frac{\partial \Delta \hat{n}(t)}{\partial t} + \sin(\kappa_0 d \Delta \hat{n}(t)) \sin^2 \rho(t) \frac{\partial \rho(t)}{\partial t} \right) \neq 0, \quad (1.19)$$

$$V[\hat{m}_{22}(t), \hat{m}_{21}(t)] = 2 \sin^2 \left( \frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}(t) \right) \left( \sin^2 2\rho(t) + \cos 2\rho(t) \sin 2\rho(t) \right) \frac{\partial \rho(t)}{\partial t} - i \left( \frac{\kappa_0 d}{2} \sin 2\rho(t) \times \right.$$

$$\left. \times \frac{\partial \Delta \hat{n}(t)}{\partial t} + \sin \left( \frac{\kappa_0 d}{2} \Delta \hat{n}(t) \right) \sin^2 \rho(t) \frac{\partial \rho(t)}{\partial t} \right) \neq 0, \quad (1.20)$$

$$W[\hat{m}_{12}(t), \hat{m}_{21}(t)] = 0. \quad (1.21)$$



1. 2. მოდელური არასტაციონარული ანიზოტროპული მოწყობილობა.

(1.18)-(1.21) –დან გამომდინარე, მატრიცის მხოლოდ  $\hat{m}_z(t)$  და  $\hat{m}_z(t)$  ელემენტებს შორის არსებობს წრფივი ფუნქციონალური კავშირი, ხოლო სხვა ელემენტებს შორის ასეთი კავშირი არ არსებობს, რაც გამოსული ველის არაკოჰერენტულ კომპონენტებად დაშლას განაპირობებს:

$$E' = E_A \oplus E_B,$$

სადაც

$$E_A = E_r \exp i(\omega_0 t - \kappa_0 Z) \exp -i \frac{\kappa_0 d}{2} (\hat{n}_r + \hat{n}_z) \begin{pmatrix} \hat{m}_z(t) \\ \pm i \varepsilon m_{zz}(t) \end{pmatrix} - \quad (1.22)$$

–სრულად არაპოლარიზებული კომპონენტი, ხოლო

$$E_B = E_r \exp i(\omega_0 t - \kappa_0 Z) \exp -i \frac{\kappa_0 d}{2} (\hat{n}_r + \hat{n}_z) \hat{m}_z(t) \begin{pmatrix} \pm i \varepsilon \\ 1 \end{pmatrix} - \quad (1.23)$$

–სრულად პოლარიზებული [44].

ამგვარად, არასტაციონარულ მშთანქმელ ანიზოტროპულ არეში გავრცელებული სრულად პოლარიზებული სინათლე განიცდის დეპოლარიზაციას; ფორმირებული გამოსხივება ნაწილობრივად პოლარიზებულია (პოლარიზაციის ხარისხის განმარტებიდან გამომდინარე) და წარმოიდგინება ორი არაკოჰერენტული კომპონენტის ჯამის სახით, რომელთაგან ერთი სრულად პოლარიზებულია, ხოლო მეორე – არაპოლარიზებული.

